

კვირის მთავარი მიზნუბები

14-20 აპრილის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- კვირის მთავარი თემა კვლავ ანტი-დისკრიმინაციული კანონპროექტის საპარლამენტო განხილვა იყო. სასულიერო პირები (ბასილ მკალავიშვილი, დეკანოზი; დავით ისაკაძე, დეკანოზი; ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი) და არასაპარლამენტო ოპოზიციის ცალკეული წარმომადგენლები (ჯონდი ბადათურია, ქართული დასი; ალექო შალამბერიძე, თავისუფალი საქართველო), ასევე სხვა რესპონდენტები (კობა ნარჩემაშვილი, ყოფილი შსს მინისტრი; ავთანდილ უნგიაძე,

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი; პეტრე მამრამე, სტრატეგიული კვლევის ცენტრი) კანონის ერთ ჯგუფთან - ლგბტ პირებთან და ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებასთან გაიგივებას ახდენდნენ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე (ეკა ბესელია) ყურადღებას კანონპროექტის კონკორდატის კონტექსტში ინტერპრეტაციის მექანიზმზე ამახვილებდა, ხოლო მისი მოადგილე (გედევან ფოფხაძე) აცხადებდა, რომ კენჭისყრის დროს სინოდის გადაწყვეტილების შესაბამისად იმოქმედებდა;

გაგრძელება გვ. 2

9, 14-20 აპრილი



რეაპირება

16 აპრილი

ქართველ მუსლიმთა კავშირის, MDF-ის და TDI-ის საჩივარი რუსთავი 2-ის თვითრეგულირების ორგანოს

ვთვლით, რომ ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის გადაცემა პოსტსკრიპტუმში 6 აპრილს გასული სიუჟეტი, რომელიც ბათუმში მუსლიმთა სალოცავის აშენების თემას შეეხება, ფაქტების არასწორ ინტერპრეტირებას, არასწორ კონტექსტუალიზაციას და საზოგადოების შეცდომამში შეყვანას ახდენს.

მართალია, სიუჟეტის დასაწყისში ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ქემალ ცეცხლაძე საუბრობს იმ პრობლემების შესახებ, რაც მრევლს ბათუმში არასაკმარისი სალოცავი სივრცის გამო ლოცვის მხრივ ექმნება, რასაც ქუჩაში პარასკევის ლოცვის ვიზუალური სცენაც ასახავს, მაგრამ სიუჟეტის მეორე ნაწილში ჟურნალისტი ავითარებს აზრს, თითქოს მეჩეთის მშენებლობა საქართველოს მოქალაქე მუსლიმების საჭიროება კი არ არის, არამედ მეზობელი სახელმწიფოს - თურქეთის მიერ თავსმოხვეული ვალდებულებაა.

გაგრძელება გვ. 10



შინაარსი

ანტიდისკრიმინაციული კანონი	3-4
სიძულვილის ენა	5
შუღლის გაღვივება	5
ძალადობისკენ მოწოდება	5
ქსენოფობია	6
ეთნიკური ნიშნით სგერეგაცია	6
ეთნიკური სტერეოტიპები	6
თურქეთის და აზერბაიჯანის, როგორც საფრთხის დაუსაბუთებელი წარმოჩენა	6-7
ანტიდასავლური განწყობები	7-8
ჰომოფობია	8-9
სპეკულაციები 17 მაისზე	9
სექსიზმი	9

კვირის მთავარი მიზნუბები

დასაწყისი გვ. 1

- 19 მაისს დღის ეთერში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ იერუსალიმიდან ცეცხლის გადმოსვლის რიტუალის ტრანსლირებისას სასულიერო პირის მხრიდან, რომელიც არხის მიერ კომენტატორად იყო მიწვეული, ლგბტ პირების მიმართ სიძულვილის გაღვივებას, ანტიდისკრიმინაციული კანონის კონტექსტში ჰქონდა ადგილი (არასამთავრობო ორგანიზაციების რეაგირება იხ. შემდეგ ნომერში);
- სიძულვილის ენა ლგბტ პირების (ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი) და ნაციონალური მოძრაობის (გაზეთი "ასავალ-დასავალი") მიმართ იყო გამოხატული;
- შუღლის გაღვივებას ლგბტ ჯგუფების მიმართ სასულიერო პირის (დავით ისაკაძე, დეკანოზი) მხრიდან ჰქონდა ადგილი;
- ძალადობისკენ მოწოდებას ნაციონალური მოძრაობის მიმართ პოლიციის აკადემიის პრორექტორის (ლუკა კურტანიძე) და პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული პირის (რევაზ კლდიაშვილი) მხრიდან ჰქონდა ადგილი;
- ქსენოფობიას "ქართული დასის" ლიდერი (ჯონდი ბადათურია, ხოლო ადამიანების ეთნიკური ნიშნით სეგრეგაციას სასულიერო პირი (პეტრე კვარაცხელია, დეკანოზი) მიმართავდა;
- კვლავ ხდებოდა თურქეთის, როგორც საფრთხის წარმოჩენა (ობიექტივი, Geworld.ge, მამუკა არეშიძე, ექსპერტი), მათ შორის ნატოში ინტეგრაციის კონტექსტში;
- ანტიდასავლური განწყობები კვლავ უკრაინაში განვითარებული მოვლენების და ლგბტ პირების უფლებების კუთხით იყო წარმოდგენილი, რა დროსაც წყაროები ტრადიციული მედია საშუალებები (ასავალ-დასავალი, Geworld.ge) და რესპონდენტები (დავით ისაკაძე, დეკანოზი; ელიზბარ დეკანოძე, დიაკონი; ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება; გივი სიხარულიძე, მსახიობი) იყვნენ ;
- ჰომოფობიურ განცხადებებთან ერთად გრძელდებოდა სპეკულაციები იმის შესახებ, რომ 17 მაისს ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს ნაციონალური მოძრაობა პროვოკაციებს გეგმავს (ბასილ მკალავიშვილი, დეკანოზი; "ასავალ-დასავალი");
- სექსიზმის წყარო როგორც მედია (კვირის ქრონიკა; Geworld.ge), ასევე რესპონდენტი (გელა ფარჩუკიძე, დირიჟორი) იყო.

პოზიტიური გაშუქების მაგალითები:

- რუსთავი 2-მა და მანქანა (19 აპრილი) ქართველ კათოლიკეთა საადგილო სამზადისი გააშუქეს;
- წმინდა მუჰამედ შუამავლის დაბადებიდან 1443-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართული ღონისძიება სააგენტოებმა "ინტერპრესნიუსი" და "პირველი" გააშუქეს (19 აპრილი);
- საქართველოში რასიზმის პრობლემა განხილული იყო "ტაბულას" თოქ-შოუ "თეორემაში", სადაც ამ თემაზე სასაუბროდ შავკანიანი რესპონდენტები იყვნენ მიწვეული (17 აპრილი), ისევე როგორც გაზეთ "კვირის ქრონიკაში" (14 აპრილი), რომელმაც ნიგერიელ სტუდენტთან ინტერვიუ გამოაქვეყნა;
- ნეტგაზეთმა გამოაქვეყნა მასალა, რომელიც ორგანიზაცია "იდენტობის" მიერ 17 მაისის გამომძიებლის ჰომოფობიაში დადანაშაულებას და მისი აცილების მოთხოვნას შეეხება (15 მაისი).

კვირის მთავარი თემა - ანტიდისკრიმინაციული კანონი

ტაბულა, ფოკუსი, 16 აპრილი

გელვან ფოფსაძე, ადამიანის უფლებათა კომიტეტის

თავმჯდომარის მოადგილე: "ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ჩემი რელიგიური კუთვნილება ვიდრე დეპუტატობა."
http://www.myvideo.ge/?video_id=2313133&tracker=subscribe_log



ალია, 17 აპრილი

გელვან ფოფსაძე: "თუ სინოდი იტყვის, არ დაუჭიროთ მხარით, მე მრევლი ვარ და ნამდვილად არ ვაპირებ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან კონფლიქტში შევიდე იმის გამო, რომ ასეთი რედაქცია იყოს. არ დაუჭერ, მე რა ძალა მადგას? გიჟი ვარ მართლმადიდებლურ ეკლესიას დავუპირისპირდე?"



საზოგადოებრივი გაუფხუბელი, მოაგამ, 17 აპრილი

მაია ბისმულია, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე:

"არც ერთი მუხლი, რომელიც არის ანტიდისკრიმინაციულ კანონში, არ შეიძლება იყოს გამოყენებული საწინააღმდეგოდ იმ კონსტიტუციური შეთანხმებისა, რომელიც არსებობს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის."
<http://1tv.ge/news-view/67617>

ალია, 18-23 აპრილი

ბასილ მკალაშიშვილი, დეკანოზი:

„ანტიდისკრიმინაციული კანონი სინამდვილეში არის საქართველოში მამათმავლობის დაკანონება! ყოველ ადამიანს იქნება ეს მთავრობა თუ პარლამენტის წევრი, თუ უბრალო მოქალაქე, ვინც საქართველოში მამათმავლობის ცოდნას გაუწევს პროპაგანდას ან ხელს შეუწყობს მას-ანათემა, შეჩვენებულ იყავს!.. მთლიანობაში 99% არის მზად, რომ ამ გარყვნილებასა და ურჯულოებას ებრძოდნენ პატრიარქით დაწყებული რიგით მღვდლამდე.“

საზოგადოებრივი გაუფხუბელი, მოაგამ, 17 აპრილი

ღაზით ისაკაძე, დეკანოზი: "როდესაც არის, აი, ასეთი უდიდესი ცოდვის შესახებ საუბარი, რომელსაც სოდომ-გომორის ცოდვა ქვია და რომელიც შეიძლება დაკანონდეს საქართველოს კანონმდებლობით, ჩვენ აუცილებლად გამოვიყენებთ ამ საშუალებას რომ წმინდა სინოდის სასულიერო პირებმა, მრევლმა, საზოგადოებამ ჩვენი ქვეყნისა მივმართოთ, რათა მოხდეს განკანონება, ანათემირება

ყველა იმ ადამიანისა, ვინც ხელს შეუწყობს საქართველოში მამათმავლობის, დედათმავლობის დაკანონებას, ნორმად ქცევას."
<http://1tv.ge/news-view/67617>

GEWORLD.GE, 16 აპრილი

ღაზით ისაკაძე, დეკანოზი: „ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში სასულიერო პირებს ქადაგება აგვეკრძალება... ასეთი რეკომენდაციები მოდის სწორედ ევროპისგან, მამათმავლობაზე არ უნდა ვთქვათ, რომ დამღუპველი ცოდვაა. შემდგომში ერთსქესიანთა ქორწინებაც დაკანონდება, შეხედეთ, პერმანენტულად მიმდინარეობს ყველაფერი.“

სასულიერო პირების მიმართვა მთავრობის, პრემიერმინისტრის, პარლამენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე

„ გთხოვთ, აკრძალეთ საქართველოში ჰომოსექსუალიზმისა და ყოველგვარი გარყვნილების ქადაგება, როგორცაა ლგბტ-ს ადლუმები და საჯარო მსვლელობები...“

გაგრძელება გვ. 4

კვირის მთავარი თემა - ანტიდისკრიმინაციული კანონი

რეპორტიორი, 15 აპრილი

ელიზბარ ღებანიძე, დიაკონი: "ეს არაა მათი უფლებების დაცვა, ეს ჩვენი უფლებების შერყვნაა. კაცო, ორი შვილი არ ჰყავთ ამ თინა ხიდაშელს და უსუფაშვილს? უნდათ რომელიმე ჰომოსექსუალი იყოს?! ცოლ-ქმარი სჯობს თუ, ქმარ-ქმარი ან ცოლ-ცოლი!"

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=23333>

ინტერპრესნიუსი, 16 აპრილი

ავთანდილ უნებამე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი: "პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი ცოდვას აქცევს ნორმად."

<http://www.interpressnews.ge/ge/politika/278285-dekanozi-davith-isakadze-antidiskriminaciul-kanonproeqts-antikonstituciurs-utsodebs.html?ar=A>

ალია, 17 აპრილი

კობა ნარჩიშვილი, ყოფილი შსს მინისტრი: "ადამიანმა თავისი ემპირიული გამოცდილებითა და ცხოვრებით განასხვავა ერთმანეთისგან ბოროტი და კეთილი, კარგი და ცუდი, ლამაზი და მახინჯი... ამ ფაქტს [ჰომოსექსუალობას] თავის დროზე დაარქვა ცუდი და დღემდე საზოგადოება მზად არ არის... გარკვეული ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები დაინტერესებული არიან, რომ 17 მასის ბევრ-ჯერ მოხდეს, მაგრამ ახალი 17 მასები არ გვჭირდება".

ალია, 16 აპრილი

ჯონი ბაღათური, ქართული დასი:

"წინამდებარე კანონი აკანონებს ჰომოსექსუალის გაუკუღმართებულ სექსუალურ ორიენტაციას, როგორც ზნეობრივ ნორმას... ეს არის არამართო ზნეობრივი და მორალური დეგრადაციის მანიშნებელი, არამედ სრული ეროვნული დეგრადაცია..."

ამ ნორმით მართო ერთსქესიანთა ქორწინება კი არ დაკანონდება, არამედ საბავშვო ბაღში ლეს-ბოსელისა და გეის მუშაობაც, ან მეთაური რომ ჰომოსექსუალი იქნება, როგორ წარმოგიდგინათ იმ არმის საქმე ? ან სასჯელალსრულების სისტემაში ჰომოსექსუალთა მუშაობა როგორ წარმოგიდგინათ ? გაიხსენეთ, ახლო წარსულში ციხის კადრები რომ გვიჩვენებს, სადაც სასჯელალსრულების თანამშრომლები აუპატიურებდნენ პატიმრებს... ყველა ეს დანაშაული

ჩაიდინეს ჰომოსექსუალებმა... ეს კანონი მოახდენს ადამიანების მიდრეკილებას ამ გაუკუღმართებულობისკენ."

რედაქციისგან: "საინტერესოა, დავუშვათ და, მოგვიანებით რომ აღმოჩინოს ბაღათური ამ ასეთი ადამიანი თავის პარტიაში, რატომ არ უნდა გარიცხოს? თუკი ადამიანი ტყუილით მოვიდა და დამალა, ვინ არის და რას წარმოადგენს, რატომ არ უნდა გარიცხოს ?.. მატყუარა მატყუარაა და რა მნიშვნელობა აქვს როგორი ორიენტაციისაა ?"

რეპორტიორი, 14 აპრილი

ჯონი ბაღათური, ქართული დასი:

„ვინც მათ ვთქვამთ ალღუმის ჩატარებაში შეეწინააღმდეგება, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, კანონდამრღვევი იქნება. თუ ერთსქესიანები მოინდომებენ ეკლესიაში ჯვრის დაწერას და მღვდელი მათ წინააღმდეგობას გაუწევს, ეს მღვდელიც კანონდამრღვევი გამოდის, რადგან მათ უფლებებს შეზღუდავს... ეს არის ჩვენი ევროპული არჩევანი!"

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=23226>

რეპორტიორი, 14 აპრილი

ალექსანდრე შალაგაძე, თავისუფალი საქართველო: „ მოცემული შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების უფლებები გაიზრდება სხვა ადამიანების უფლებების შეზღუდვის ხარჯზე.“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=23246>

რეპორტიორი, 17 აპრილი

ამირე მამრამე, სტრატეგიული კვლევის

ცენტრი: „ ბევრ ქვეყანაში ჰომოსექსუალისტს აქვს უფლება დაამყაროს სექსუალური კავშირი 12 წლის ბავშვთან, თუ მან ამ ბავშვის თანხმობა მიიღო. გაიხსენეთ, როდესაც ზუგდიდში მოწვეულმა პედაგოგმა ფლექტერმა ბავშვებს დაურიგა ლინკები, იმისათვის, რომ მოსწავლეებს ეყურებინათ მისი ჰომოსექსუალური პორნოსთვის... მესმის, რომ ჰომოსექსუალები ყველგან არიან, მაგრამ ერთია მათი უფლებების დაცვა და მეორეა პროპაგანდა. ამ კანონში [ანტიდისკრიმინაციული] არაფერი უნდა იყოს ისეთი, რაც ხელს შეუწყობს მათი ცხოვრების წესის პროპაგანდას.“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=23547>

სიკვდილის ენა

რეპორტიორი, 15 აპრილი

მლიზბარ ღმკანოიძე, დიაკონი: „გარყვნილი სულის ადამიანი [ლგბტ პირები], რაც უფრო უმცირესობაში იქნება, მით ჯანსაღი იქნება საზოგადოება... ერთი ავადმყოფი ორგანო აავადებს მთელ სხეულს. როგორც ამპუტაცია სჭირდება განგრენით დაავადებულ ორგანოს, რომ უფრო არ განვითარდეს, ასე უნდა მოხდეს ამ შემთხვევაშიც.“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=23331>



ასავალ-ღასავალი, 14-20 აპრილი

ჟაბა სუბუა, ჟურნალისტი: "ღიახ, ნაციონალებისათვის - ამ სიკვდილის მთესველი და ქართველი მამაკაცების გამაუპატიურებელი მანქურთებისათვის - უკვე დიდებაა ის, რომ საერთოდ, ბედავენ ხალხში თავის გამოყოფას და ხმაში რიხის გარეკას!"

შუღლის გაღვივება

ინტერპრესნიუსი, 16 აპრილი



ღავით ისაკაძე, დეკანოზი: "ამ კანონის მიღებას შეიძლება ძალიან დიდი დაპირისპირება მოჰყვეს. თუ ეს ევროკავშირის მოთხოვნაა, რათა ჩვენ ევროპულ ქვეყნებთან ლიბერალური ვიზები გვქონდეს, მაშინ სჯობს არ გვქონდეს, ვიდრე ამან ადამიანთა შორის დაპირისპირება გამოიწვიოს და ისეთი გადახრები, როგორც არის: მამათმავლობა, დედათმავლობა, პედოფილია, ინცესტი, ერთსქესიანთა ქორწინება ნორმად ვაქციოთ",


<http://www.interpressnews.ge/ge/politika/278285-dekanozi-davith-isakadze-antidiskriminaciul-kanonproeqts-antikonstituciurs-utsodebs.html?ar=A>

კალაღობისკენ მოწოდება

ალია, 15 აპრილი

ლუკა კურტანიძე, შსს-ს პოლიციის აკადემიის პრორექტორი:

"თუ სააკაშვილს 10 ტყვია მოხვდება, ერთი ტყვია აუცილებლად ლუკა კურტანიძისგან იქნება. იმ ადამიანებს შორის, ვინც მას არ დამორჩილდება და პასუხს მოსთხოვს, ერთ-ერთი ლუკა კურტანიძე იქნება. ეს მარტო სააკაშვილს არ ეხება. მინაშვილს, გაბაშვილს, უგულავას, თაქთაქიშვილს, ხერხეულიძისა და სხვათა სახით, ქვეყანაში ბევრი სააკაშვილია... ნურავის ეგონება, რომ ბრძოლა დამთავრდა.“



ასავალ-ღასავალი, 14-20 აპრილი

რევაზ კლდიაშვილი, პოლიტკატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი: "ნაციონალებს ჩვენით გავუსწორდებით. იარაღის ხელში აღება რომ დაგვჭირდეს, ამაზეც წავალთ.“

ქსენოფობია

კაკიასია, ღღეს, 14 აპრილი

ჯონდი ბაღათურიძე, ქათული დასი: "სადაც ქართულად ლოცულობენ და წერენ, ეგ არის საქართველო. თუ ჩვენ დავუშვით, რომ პლენხანოვზე თურქული და არაბული და მონგოლური წარწერები გაჩნდა, ჩვენ მივიღებთ პატარა თურქეთს ან მონგოლეთს შუაგულ თბილისში".

http://www.myvideo.ge/?video_id=2309520

ეთნიკური ნიშნით სეგრეგაცია

პრადიმ ტაიში, 18 აპრილი

ამტრე კვარაცხელია, დეკანოზი: "როცა ირღვევა უმრავლესობის უფლებები, ეს უკვე უმცირესობას ნიშნავს. როგორ შეიძლება იმან დაიცვას სხვისი უფლებები, რომელმაც საკუთარი უფლებების ფასი ან არ იცის, ან არასწორად იყენებს... როცა საკუთარი ერისა და ეროვნულობის ადამიანებს პლებებზე აქცევ, სხვათა უფლებების დაცვა მხოლოდ ფსევდოლიბერლებების თამაშია."

ეგ არის, ჩვენი თბილისელი ქურთები მეცოდებიან! - რა აფხიკავს რუსთაველის ასფალტიდან ნაგვად გადაქცეულ ამდენ ნაციონალს!"

ეთნიკური სტერეოტიპები

ასავალ-დასავალი, 14-20 აპრილი

გიორგი ბიბაური, ჟურნალისტი: "ეგ არის, ჩვენი თბილისელი ქურთები მეცოდებიან! - რა აფხიკავს რუსთაველის ასფალტიდან ნაგვად გადაქცეულ ამდენ ნაციონალს!"

თურქეთის და აზერბაიჯანის, როგორც საფრთხის დაუსაბუთებელი წარმოდგენა

ოზიქტივი, ღამის სტუდია, 16 აპრილი

ბონდო მიინარაშვილი, წამყვანი: "უზარმაზარი ქვეყანაა ეს თურქეთი. მეზობელი და ერთერთი, საფრთხეს საიდანაც უნდა ველოდებოდეთ, ეს არის რუსეთი და თურქეთი. მეტი საფრთხე ჩვენს გარშემო არ გველოდება."

http://www.myvideo.ge/?video_id=2312312

იმედი, პოლიტიკის ღრო, 15 აპრილი

მამუკა არაშვიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში: "რუსული არხები თუ უნდა ავკრძალოთ, აუცილებლად უნდა ავკრძალოთ თურქული არხები, აზერბაიჯანის არხები იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში იქაური ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება, ნამდვილად არ არის, ასე ვთქვათ, საქართველოსთვის".

GEWORLD.GE, 18 აპრილი

იაკოვ ლეშაშა, ავტორი: "დღეს ყველანი მოწმენი ვართ, როგორ ითვისებს ქართულ მიწებს თურქეთი, განსაკუთრებით - აჭარაში და ამის ასალამად ხელისუფლება ზომებს არ იღებს. ხვალ, ანუ ნატოში შესვლის შემდეგ, თურქების გავლენა საქართველოში (სამხედრო ძალის

http://www.myvideo.ge/?video_id=2312032&tracker=subscribe_log

თურქეთის და აზერბაიჯანის, რომორც საზრთის დაუსაზღვრებელი წარმოჩენა

შემოსვლაც, ნატოს ეგიდით) უდავოდ მოიმატებს და ხელისუფლება, სურვილის შემთხვევაშიც კი, წინ ვერ აღუდგება ნატოს წევრ ჩვენს მეზობელს, რომელიც დიდ თურქეთზე ოცნებობს და აჭარაზე პრეტენზიაც ბევრჯერ გამოხატა საჯაროდ. დანარჩენ საქართველოზეც რომ უჭირავს თვალი, არც ეს არის საიდუმლო. თურქეთში სამუშაოდ ჩასულ ქართველებს ისე რომ ეპყრობიან, როგორც მონებს, დიდი ხანია, ვიცით, მაგრამ თბილისშიც არანაკლებს ბედავენ – დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე გახსნილ კაფეებში ქართველებს არ უშვებენ, თურქი ინვესტორები ქართველ ექიმებს გინებას არ აკლებენ და პატრიარქის სურათის ჩამოხევისასაც კი ცდილობენ! თურქების თავხედობის უფრო შორს წასვლა სწორედ ჩვენი ნატოში გაწევრების შემდეგ მოხდება... ადვილი მისახვედრია, რა მოგველის ახლო მომავალში ნატოს წყალობით - 10 წელიწადში ასე დაგვაჯდნენ თავზე «ნაცების» შემოყვანილი თურქები და ნატოს სახელით შემოჯლივინებულები ხომ სულ გაგვათურქებენ - დიდი ალბათობით, ორი-სამი თაობის შემდეგ ენასაც დაკვარავთ, რწმენასაც და მამულსაც!"

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=5830>

ანტიდასავლური განწყობები

ასავალ-დასავალი, 14-20 აპრილი

ელიზბარ ჯაფელიძე, სახალხო კრება:

"და როგორც საქართველო დაშალეს ამერიკამ და ნატომ მიზანმიმართულად, უკრაინასაც იმას უკეთებენ!.. ჩვენ, ქართველები, ვერ გაგვგვარომაელეს, ვერ გაგვასპარსელეს, ვერც გაგვაბერძნეს, ვერც გაგვარაბეს, ვერც გაგვათურქეს, ვერც გაგვარუსეს და დარწმუნებული ვარ ვერც გაგვაამერიკელ-გაგვაევროპელებენ!"

გივი სინარულიძე,

მსახიობი: "ეგენი არიან სოროსის კარგად გამოზრდილი ლეკვები. მათ ძალიან ბევრ ფულს უხდიან მსოფლიოს ბნელი ძალები, რომ გარყვანან და მიწაში ჩადონ მცირერიცხოვანი ერების ისტორია, კულტურა, ტრადიციები."

"მე მაქვს ლაპარაკი ამერიკის იმ წარწყმედილ ნაწილზე, სადაც კაცი კაცზე ქორწინდება და ქალი - ქალზე!.. გერმანიის ამ უდიდესი ქვეყნის და ძლიერი გენების მატარებელი ერის კანცლერი ანგელა მერკელი რომ მივიდა და თავის პედერასტ საგარეო საქმეთა მინისტრს გათხოვება მიულოცა, მე იმ დამეს არ მძინებია! თუ ეს დღე ელის საქართველოს, მაშინ წყეულიმც იყოს ჩემი ერი, არ მინდა ეგეთი ერი!"

გიორგი გიგაური,

ჟურნალისტი: "ანუ „საკავშილსა და კამპანიას“ რამდენი ფულიც არ უნდა მისცენ დასავლელმა ემისრებმა, ისინი მაინც ვერაფერს შეძლებენ,

ქუჩაში რამდენიმე ასეული დეგრადირებული და მოსყიდული ავადმყოფის გამოყვანის გარდა!"

რამპორტიორი, 15 აპრილი

ელიზბარ ლეკანიძე,

დიაკონი: "დოკუმენტებში ასახული იყო, თუ რა ნაბიჯები უნდა განახორციელოს საქართველომ ევროკავშირში და NATO-ში ინტეგრაციისათვის. ერთ-ერთი ნაბიჯი გახლდათ სწორედ ამ ზნეგაუკუღმართებული ადამიანების, ანუ ლგბტ-ს წარმომადგენლების აღზევება და პროპაგანდის უზრუნველყოფა ტელე-სივრცეში, რაც უკვე მიმდინარეობის კიდევ."

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=23333>

გაგრძელება გვ. 8



იაკობ ლეჟავა,

ავტორი:

"ადვილი მისახვედრია, რა მოგველის ახლო მომავალში ნატოს წყალობით - 10 წელიწადში ასე დაგვაჯდნენ თავზე «ნაცების»

შემოყვანილი

თურქები და ნატოს სახელით

შემოჯლივინებულები ხომ სულ

გაგვათურქებენ -

დიდი ალბათობით, ორი-სამი თაობის

შემდეგ ენასაც

დაკვარავთ,

რწმენასაც და

მამულსაც!"

დასაწყისი გვ. 7

GEWORLD.GE 18 აპრილი

ბიძინა ზომოლაძე, ახალციხის მკვიდრი: "ჩვენ, ქართველებს, ისე გვექცევინან, თითქოს მრავალმგადახდილი ჩვენივე მიწაწყალი მათგან, ევროპელებისგან, არენდით გვექონდეს ადებულო... მოკლედ, საკუთარ სახლში არ გვასვენებენ და ისე გვეუფროსებინან, თითქოს მათი წყალობაა, რომ ქართველმა ერმა დღემდე მოაღწია და რომ ნატოს, ევროკავშირისა და ყბადადებული ევროპული «უნიკალური» ფასეულობების გარეშე მომავალი არ გვიწერია!..

შექმნილ ვითარებაში უადრესად აქტუალურია რუსეთთან დაახლოება ... ეს კი დასავლეთს ხელს არ აძლევს, რადგან ჩვენთვის «არენდით ბოძებულ» ძირძველ ქართულ ტერიტორიას დაკარგავს, ისე ვეღარ «გვიხმარს,» როგორც აქვს ჩაფიქრებული."

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=5831>

GEWORLD.GE, 16 აპრილი

ღავით ისაკაძე, დეკანოზი: „რა თქმა უნდა, ოჯახი ქალისა და კაცის ერთობაა და ასეთი მოსაზრებით, როგორსაც ქალბატონი ლუნაჩევი [ევროპარლამენტარი] ახმოვანებს, მან ინცესტიც შეიძლება გაამართლოს და ჩვენ ასეთ ადამიანებს ვუსმინოთ?!“

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5819>

რეპორტიორი, 15 აპრილი

ელიზბარ დეკანოიძე, დიკონი: "დოკუმენტებში ასახული იყო, თუ რა ნაბიჯები უნდა განახორციელოს საქართველომ ევროკავშირში და NATO-ში ინტეგრაციისათვის. ერთ-ერთი ნაბიჯი გახლდათ სწორედ ამ ზნეგაუკუღმართებული ადამიანების, ანუ ლგბტ-ს წარმომადგენლების აღზევება და პროპაგანდის უზრუნველყოფა ტელე-სივრცეში, რაც უკვე მიმდინარეობს კიდევ."

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=23333>

კომოვობა

ასავალ-დასავალი, 14-20 აპრილი

კოტე ყუბანეიშვილი, პოეტი: "გეები ჩემთვისაც მიუღებლები არიან და „ბეებიც“ და მაგათი დედა მოვ...ნ ყველასი, ვინც საქართველოში ნორმალურად არ იქცევა."

ბივი სინარულიძე, მსახიობი: "დიახ, მე არ მინდა დაპურებული, გამამდარი, ბარებში მოცეკვავე ტიტველი გოგონები, ნახევარზე მეტი „ლესბიანკები“, ბიჭები - ნახევარზე მეტი პედარასტები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. კიდევ ვიმეორებ საქართველო დგას ამორალურ გზაზე!"

კასა მამულაშვილი, პროდიუსერი: "ერთსქესიანთა დაქორწინების ტრადიცია საქართველოში არასდროს დამკვიდრდება... ოდითგანვე იყვნენ ადამი და ევა, ანუ კაცი და ქალი, ასე რომ არ ყოფილიყო, იქნებოდა ადამი და ადმჩიკა...მე ვერავის განვსჯი, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, ჩემი ბიჭი მოვიდეს და მითხრას, გავთხოვდიო."

რეპორტიორი, 16 აპრილი

ამძა ცხალაძე, საინიციატივო ჯგუფის წევრი: "მსგავსი ტიპის ღონისძიებებს, როგორც იყო მაგალითად რამდენიმე დღის წინ „ევროპის მოედანზე“ ჩატარებული აქცია-კონცერტი, რომელიც ლგბტ დამცველი ორგანიზაციების მიერ იყო ორგანიზებული, ხელისუფლება არ უშვებდეს."

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=23447>

რეპორტიორი, 14 აპრილი

ჯონდი ბალათურია, ქართული დასი: "გუშინ ევროპის მოედანზე ლგბტ საზოგადოების და ნაცი-ონალების ღონისძიება გაიმართა აქცია სახელწოდებით „ვირჩევთ ევროპას“, რითაც საბოლოოდ მოჭ-რეს თავი ევროპას, იმიტომ, რომ მათი სურვილი არ არის ლგბტ საზოგადოების არჩევანი."

**სამკულაციები 17 მაისზე****პირველი, 16 აპრილი**

ბასილ მპალაპიშვილი, დეკანოზი: "17 მაისისთვის უცხოეთიდან ათასამდე მამათმავალი უნდა ჩამოიყვანონ, რისთვისაც თხოულობენ დაფინანსებას 7 მილიონის ოდენობით. ეს თანხა სჭირდებათ აღლუმის ჩასატარებლად ქალაქის შუაგულში; პირადად ბოკერიას აქვს შედგენილი გეგმა."

http://pia.ge/show_internet_daijest_news.php?id=248&lang=geo

ასავალ-ღასავალი, 14-20 აპრილი

გიორგი გიბაური, ჟურნალისტი: "მას შემდეგ რაც ათიოდე დღის წინათ ლგბტ „იდენტობამ“ საჯაროდ განაცხადა, რომ არ აპირებს 17 მაისს რუსთაველის გამზირზე გვი-მასკარადის მოწყობას, ქართველ საზოგადოებაში სულ უფრო აქტიუალური ხდება კითხვა - ხომ არ ჩაანაცვლებენ სააკაშვილის ნაცები მესაჯდომეთა აქტივისტებს, რათა

საქართველოს დედაქალაქის ცენტრში უკრაინული „მაიდან“ მოაწყონ?"

ოზიმეტივი, ღამის სტუდია, 14 აპრილი

ნინო რატიშვილი, ჟურნალისტი: მე თუ ვფიქრობ, რომ უკრაინაში ტრაგედიაა და უკრაინის ე.წ პრეზიდენტი მეუბნება, რომ ალბათ, სავარაუდოდ, 17 მაისს ის გეიპარადს პირადად წაუძღვება?"...
http://www.myvideo.ge/?video_id=2309493

სემსიზმი**ასავალ-ღასავალი, 14-20 აპრილი**

გელა ფარჩუკიძე, დირიჟორი: "ქართველისთვის ყველაზე დიდი სიწმინდე და მადლი დედაა, თუ მაგ უტვინო ქალმა (თეონა კონტრიძე) ეგ არ იცის, მარტო ძუძუების ამოყრა ჟიურის წევრად ჯდომა და იქიდან დარიგებები არავის სჭირდება."

პპირის ქრონიკა, 14-20 აპრილი

თამარ ოძრუაშვილი, ჟურნალისტი: "ეს ის ქვეყანაა, სადაც ქალი კაცია და მელია კი - ქათამი!"

GEWORLD.GE 18 აპრილი

"ქალების სურვილებს საზღვარი არ აქვს, განსახვავებით მამაკაცებისაგან."

<http://www.geworld.ge/ViewGE.php?>

[G=10162&lang=ge&Title&fb_action_ids=758275617539495&fb_action_types=og.likes&fb_ref=U1FqCtQGfjB.like](http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=10162&lang=ge&Title&fb_action_ids=758275617539495&fb_action_types=og.likes&fb_ref=U1FqCtQGfjB.like)

დასაწყისი გვ.1

ამის საილუსტრაციოდ კი ჟურნალისტს, მთიანი აჭარის ერთ-ერთი სოფლის დაცარიელებული ჯუმა მოჰყავს ("თურქული და ირანული ბათუმის ცენტრიდან ძირძველ ქართულ სოფლებში ავდივართ", "პარასკევია და მოლა ჯუმაში მარტო შედის"). ჟურნალისტის მიერ შემოთავაზებული ეს ბმა დაუსაბუთებელია, რადგან ბათუმში სალოცავი სივრცის ნაკლებობას, მთიან აჭარაში ცარიელი სალოცავის არსებობა არანაირად არ აკომპენსირებს და ეს სხვა, სოციალურ-ეკონომიკური რეალობის აღწერას მეტად უკავშირდება, ვიდრე მეჩეთის მშენებლობის თემას. ამ შემთხვევაში სახეზეა მაუწყებელთა ქვევის კოდექსის 33 (2) მუხლის დარღვევა, რომლის თანახმად, "მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს უმცირესობების და სოციალური პრობლემების შესახებ არასწორი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას".

ვთვლით, რომ ასევე დაუშვებელია კადრებით და სინქრონით მანიპულირება, რაც სიუჟეტში მთიან აჭარაში გადაღებულ პასაჟს მოსდევს. კერძოდ:

ჟურნალისტის (თეა ადეიშვილი) დაუსაბუთებელი განზოგადება - თითქოს "სოფლებში, სადაც ისლამი უფრო მყარია, ვიდრე ქალაქში, სწინთ, რომ ძველი უნიკალური სალოცავები ინგრევა, ახლის აშენება კი ქართველ მუსლიმებს მეზობელი თურქეთის ინტერესების გამო სურთ" - არა სოფლის ადგილობრივი მცხოვრებლების სინქრონს, არამედ აკადემიური სფეროს ერთი წარმომადგენლის კომენტარს ეფუძნება:

რამაზ სურმანიძე, ისტორიკოსი, პროფესორი: "რატომ უნდა მოითხოვოს მეზობელმა ქვეყანამ [თურქეთმა] ჩვენთან სამლოცველოს აშენება? თუ სამლოცველო ასაშენებელია, ხალხი არის აქა, საზოგადოებაა, თუ მათ სჭირდებათ, თვითონ ეს ხალხი აშენებს და იქნება სამლოცველო".

მნიშვნელოვანია, რომ ამ კომენტარში რესპონდენტი გარდა იმისა, რომ ეჭვის ქვეშ აყენებს ახალი მეჩეთის აშენების საჭიროებას (რასაც სიუჟეტის დასაწყისში თავადვე აღწერდა), ის აღნიშნულ მშენებლობას, არგუმენტაციის გარეშე, "მეზობელი ქვეყნის" მოთხოვნას უკავშირებს, ხოლო ჟურნალისტი არათუ ცდილობს, მეტი სიცხადე შეიტანოს იმაში, თუ რა და ვის მოთხოვნას გულისხმობს რესპონდენტი, არამედ ამ მოსაზრებას სოფლის მოსახლეობის პოზიციად დაუსაბუთებლად წარმოაჩენს.

ვთვლით, რომ ამ შემთხვევაში დარღვეულია

მაუწყებელთა ქვევის კოდექსის 14 (9) მუხლი, რომლის თანახმად, "ინტერვიუების, ჩაწერილი მასალის, მათ შორის საარქივო მასალის რედაქტირებისას, მაუწყებელმა არ უნდა დაამახინჯოს რესპონდენტის ციტატა, ან არ უნდა მოახდინოს სხვა სახით აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა ვიზუალური ან აუდიო მანიპულაციებით, დასმული კითხვების მნიშვნელობის შეცვლით ან კონტექსტიდან ამოვარდნილი კადრების გამოყენებით."

ამასთანავე, ვთვლით, რომ დარღვეულია კოდექსის მე-13 (2) მუხლი, რომელიც ავალდებულებს მაუწყებელს, "მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუმვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება;" ასევე 18 (2) მუხლი: "პროგრამა ან სიუჟეტი მიკერძოებული იქნება, თუ ის არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, აგებულია უმნიშვნელო ფაქტებზე, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად შეჰყავს აუდიტორია შეცდომაში, შენიღბული სახით გამოხატავს მიკერძოებული პირის მოსაზრებებს".

ვთვლით, რომ მთლიანობაში აღნიშნული სიუჟეტი არღვევს მაუწყებელთა ქვევის კოდექსის 32 (1) მუხლს, რომლის თანახმად, "მაუწყებელი ვალდებულია სამაუწყებლო ბადეში განათავსოს ზუსტი და სარწმუნო, დაბალანსებული, პროპორციული და თანაზომადი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ ყველა კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფზე და სოციალურ ფენაზე სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით."

მოვუწოდებთ, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ს განიხილოს განცხადებაში მოყვანილი ქვევის კოდექსის დარღვევის ფაქტები, ხოლო "პოსტ-სკრიპტუმის" რედაქციას, მომავალში მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს მსგავსი მგრძობიარე თემების გაშუქებისას და თავი აარიდოს სხვადასხვა მრწამსის საქართველოს მოქალაქეების უფლებრივი საკითხის მეზობელი სახელმწიფოს კონტექსტში განხილვას, რაც ინტეგრირების ნაცვლად, მათ გაუცხოვებას უწყობს ხელს.

